9254

ჭრელლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
5 ოქტომბერი
1940 წ.
№ 232 (5933)
ფასი 10 კაპ.

F75N 165

შევქმნათ სსრ კავშირის მძლავრი სახელმწიფო შრომითი რეზერვები

უდანაკარგოდ ავიღოთ და გადავზიდოთ ჭარხლის მთელი მოსავალი

პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მიმღებ პუნქტებზე შაქრის ჭარხლის თავის დროზე გადაზიდვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ". სახკომსაბჭომ და ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს ამოღებული შაქრის ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებზე გადაზიდვის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და ქართლის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს დაუსახეს კონკრეტული ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის.

ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიონებმა წელს 5.500 ჰექტარი ნათესიდან სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 1.081.293 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულება მოითხოვს საქმის იმგვარად დაყენებას, რომ დაწესებულ ვადებში და უდანაკარგოდ იქნას აღებული ჭარხლის მთელი მოსავალი. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, მტს-ების დირექტორებმა და მიწგანების გამგეებმა ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ და დაეხმარონ კოლმეურნეობებს, ცალკე ბრიგადებსა და როგორლებს და „უზრუნველჰყონ ამოღებული ჭარხლის გადაზიდვა ამოღების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს შემდეგი დღისა, არ დაუშვან დაშორება ამოღებასა და გაწვენდას შორის, გაწმენდასა და გადაზიდვას შორის, რისთვისაც ჭარხლის გადასაზიდად დაუყოვნებლივ გამოჰყონ ცოცხალი გამწევი ძალისა და ურმების საჭირო რაოდენობა და მთლიანად გამოიყენონ კოლმეურნეობათა მთელი არსებული ავტოტრანსპორტი".

მასალები, რომლებიც „კომუნისტში" გამოქვეყნდა, მოწმობენ, რომ გეგმების დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის მეჭარხლეობის მთელ რიგ კოლმეურნეობებს ჯერაც არ გამოუყენებიათ მთლიანად მათს განკარგულებაში არსებული ყველა შესაძლებლობანი. როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი იტყობინება, ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ახალ ნაბიჯში" ბ. გრიგოლაშვილისა და ა. ხარჩილაძის ბრიგადებმა მინდვრად ბევრი ამოღებული და ამოუღებელი ჭარხალი დატოვეს. ჭარხლის დანაკარგებს ადგილი აქვს ქარელის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის სხივში", გორის რაიონის სოფ. შავშვების კოლმეურნეობაში და სხვ. სოფ. დუმაცხორის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადას არა აქვს ურმები, რომ ჭარხალი მიმღებ პუნქტზე გაგზავნოს. არიან კოლმეურნეობები, რომლებიც სრული დატვირთვით არ იყენებენ მუშახელს, ჭარხლის სათხრელ მანჭანებსა და ამით შლიან ჭარხლის ამოღებისა და ჩაბარების კალენდარულ გეგმებს.

განსაკუთრებით მკვეთრად ჩამორჩენილია კასპის რაიონი, სადაც ჭარხლის ამოღების წლიური გეგმა 1 ოქტომბრისათვის მხოლოდ 12,3 პროცენტით იყო შესრულებული, ჩაბარებისა კი — 6,9 პროცენტით. ამავე რიცხვისათვის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ ამოღებული 26.131 ცენტნერი ჭარხლიდან გადაუზიდავი იყო 6.000 ცენტნერი. შედარებით წინ მიდის ხაშურის რაიონი, რომელსაც მოსავლის აღების გეგმა 1 ოქტომბრისათვის 48,3 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, მაგრამ აღებული ჭარხლის გადაზიდვაში აქაც ჩამორჩენაა. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებს ამოღებულ 63.000 ცენტნერიდან გადაუზიდავი ჰქონდათ 4.324 ცენტნერი ჭარხალი.

ეს ჩამორჩენა ხაშურის, კასპის, გორისა და ქარელის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებისათვის, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ არის, მაგრამ როგორც სჩანს, ისინი არ იღებენ საჭირო ზომებს ამ ჩამორჩენის დაჩქარებით გამოსასწორებლად. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჭარხლის ჩაბარების კალენდარული გეგმების დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად დაწესეს ავტოტრანსპორტით და კოლმეურნეობათა ცოცხალი გამწევი ძალით შაქრის ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმები და შეიმუშავეს კოლმეურნე მზიდავების და მტვირთავების, აგრეთვე კოლმეურნეობათა და „სოიუზზაგოტზერნოს" ავტომანქანებზე მომუშავე კოლმეურნე შოფერების შრომის ანაზღაურების ისეთი წესი, რომლის ურყევად გატარება ჰქმნის დიდ სტიმულს ჭარხლის გადაზიდვის სეზონური ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მეჭარხლეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ვალია პარტიისა და მთავრობის ეს ღონისძიება გააცნონ ყველა კოლმეურნეობას, ბრიგადას, როგორც და კოლმეურნეს და ყოველდღიურად ადევნონ თვალყური დადგენილების განუხრელად შესრულებას.

ყოვლად დაუშვებელია ჭარხლის პლანტაციების დაცვისადმი ისეთი უდარდელი დამოკიდებულება, როგორც ამას ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარგორის და ქარელის რაიონის სოფ. საციხურის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები იჩენენ. ამ კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხალს პირუტყვი აფუშტებს, ხოლო მის დასაცავად ზომები არ არის მიღებული. ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებულნი არიან დატაცებისაგან და პირუტყვის მიერ ჭარხლის გაფუჭებისაგან დასაცავად მოსავლის მთლიანად აღებამდე იყოლიონ სპეციალურად გამოყოფილი პირები.

ჭარხლის ჩაბარების კალენდარული გეგმების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მიმღებ პუნქტებს. აგარის შაქრის ქარხანამ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე უნდა „უზრუნველჰყოს მიმღები პუნქტების შეუჩერებელი მუშაობა, არ დაუშვას ჭარხლის ჩაბარებელ კოლმეურნეთა დიდხანს გაჩერება და დაწესოს სასტიკი კონტროლი პუნქტების მიერ მიღებული შაქრის ჭარხლის აწონის სისწორეზე".

საქართველოს მეჭარხლეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტიკური შეჯიბრების და სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის, ცოცხალი გამწევი ძალისა და ავტოტრანსპორტის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. ეს არის მთავარი პირობა იმისა, რომ მაღალხარისხოვნად და ყველა დადგენილი წესის დაცვით შესრულდეს შაქრის ჭარხლის ამოღებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

ვ. ი. ლენინის სტატიებისა და სიტყვების კრებული

„დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავისათვის"

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა გამოუშვებს ვ. ი. ლენინის იმ სტატიებისა და სტატიების კრებულს, რომლებიც მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისადმი. ამ კრებულში თავმოყრილია ვლადიმერ ილიას-ძის მთელი რიგი სტატიები და სიტყვები, რომლებიც მის მიერ დაწერილი და წარმოთქმულია 1918 წლის ნოემბრიდან 1922 წლის ნოემბრამდე.

კრებულში მოთავსებულია ლენინის სიტყვები (გაზეთის ანგარიშები): პროფკავშირთა სრულიადრუსეთის ცენტრალური და მოსკოვის საბჭოების საზეიმო სხდომაზე 1918 წლის 6 ნოემბერს და პროხოროვის მანუფაქტურის მუშათა კრებაზე 1921 წლის 7 ნოემბერს; ვ. ი. ლენინის სტატიები „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის", „საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი" და სხვა.

კრებულის ტირაჟი — 100.000 ცალია. (საკდესი).

კოლმეურნეები დიდ მიწაზე დაბრუნდნენ

3 ოქტომბერს, არქტიკაში ორ წელიწადს ყოფნის შემდეგ, მოსკოვს დაბრუნდა რუდოლფის კუნძულის პოლარულ მუშაკთა ცვლა, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლარული სადგურის უფროსი ორდენოსანი ვ. ვ. სტეპანოვი. თავიანთი პოლარული სადგურის უფროსთან ვ. კ. იაკოვლევთან ერთად დაბრუნდნენ გენრიეტას კუნძულის მოზამთრენი. თავის კოლექტივთან ერთად ჩამოვიდა ბუხტა ტიხიას პოლარული სადგურის უფროსიც ორდენოსანი ბ. ა. კრემერი.

ყველა პოლარელი მუშაკი მხნედ და ჯანმრთელად არის. ამჟამად ისინი აბარებენ სამეცნიერო დაკვირვების მასალას, მუშაობის ანგარიშსა და დღიურებს.

უახლოეს დღეებში გემი „არკოსი" კუნძულ დიქსონის ტიკსის ბუხტის, თეთრი კუნძულის, ჩელუსკინის კონცხისა და განაპირა ჩრდილოეთის სხვა პუნქტების პოლარელ მუშაკთა ახალ ჯგუფს ჩამოიყვანს დიდ მიწაზე.

შეცვლილი პოლარელები კუროორტებზე მიდიან. (საკდესი).

ახალი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ ციკლოპიური ნაშრომის გამოშვება

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებული ხალხებისადმი.

ბიბლიოთეკაში დაცული ეშვიათი გამოცემანი ასახავენ ბალტიისპირეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ეკონომიკას, ისტორიასა და კულტურას.

ფართოდ არის წარმოდგენილი ხალხური შემოქმედება. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მოადგილედ დანიშნა ამხ. **ვ. ფ. პოპოვი, გ. ი. ივანოვსკი, ვ. ა. მახნევი** და **ა. ს. ნოვიკოვი.** (საკდესი).

○

სსრ კავშირის პროკურორმა ამხ. ბოჩკოვმა, სსრ კავშირის კონსტიტუციის 115 მუხლის შესაბამისად, მოკავშირე ლიტვის სსრ პროკურორად დანიშნა ამხ. ვლადას იოსების-ძე ნიუნკა და კარელო-ფინეთის სსრ პროკურორად — ამხ. აბრამ ანდრიას-ძე ბიროლაინენი (საკდესი).

ახალი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ ციფრული მასალების გამოშვება

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიძღვნილია ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის განთავისუფლებული ხალხებისადმი.

ბიბლიოთეკაში დაცული ეშვიათი გამოცემანი ასახავენ ბალტიისპირეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ეკონომიკას, ისტორიასა და კულტურას.

ფართოდ არის წარმოდგენილი ხალხური შემოქმედება. (საკდესი).

მშრომელნი მიესალმებიან სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნას

ხარკოვი, 3 ოქტომბერი (საკდესი). ხარკოვის საწარმოთა მუშები დიდი კმაყოფილებით შეეგებნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებს. ქარხანა „სერპ ი მოლოტის" ძველი კადრის მუშები, ოსტატები და საამქროს ხელმძღვანელები გაცხოველებით იხილავენ საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს.

მთელი მუშათა კლასი მიესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას, — ამბობს ხის დამმუშავებელი საამქროს ცვლის უფროსი ამხ. კიანოვი, რომელიც ამ ქარხანაში დაახლოებით 40 წელს მუშაობს. — სოციალისტური მრეწველობა მუშათა კლასის შემადგენლობის განუწყვეტელ შევსებას მოითხოვს. სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლები ახალ კვალიფიციურ კულტურულ მუშებს მისცემენ ჩვენს ქვეყანას. ეს შევსება უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების დიდ ზრდას, მრეწველობის ახალ-ახალ წარმატებას.

ძველი კადრის მუშა ამხ. ცეხოვსკი აცხადებს:

— ძნელია გაზვიადებით შევაფასოთ, თუ რამდენად დროულია და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის მთავრობის დადგენილებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნის შესახებ. ბრიგადებში გაცხოველებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ აზრს. ყველა ცდილობს გამოსთქვას თავისი აზრი. ბრძანებულების გამო დიდი კმაყოფილება გამოსთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სლირიკმა.

— ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითის მიხედვით, — ამბობს იგი, —ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი შესაძლებლობა არსებობს მძლავრი სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესაქმნელად. ჩვენი საკოლმეურნეო მიწის 90 პროცენტი — ეს დაახლოებით 7 ათასი ჰექტარია — ტრაქტორით მუშავდება, მარცვლეულის 96 პროცენტს კომბაინით ვიღებთ. მართალია, ბევრი ჩვენი კოლმეურნე ფერმებში (ჩვენს კოლმეურნეობას 18 ათას სულზე მეტი პირუტყვი ჰყავს) და მეურნეობის სხვა დარგში მუშაობს. მაგრამ თუ კარგი შრომის დისციპლინა და მაღალი შრომის ნაყოფიერება დავამყარეთ, ჩვენში შეიძლება ბევრი განთავისუფლდეს.

ჯერ ახლაც მეექვსე, მეშვიდე და სხვა ბრიგადაში კოლმეურნეთა 20-30 პროცენტი ყოველთვის როდია დატვირთული მუშაობით. უმთავრესად ეს შვიდწლედდამთავრებულ ახალგაზდობას შეეხება. აი, მაგალითად, ალექსანდრე ჩერნენკომ, მერკულოვამ, გოლუშკომ დაამთავრეს შვიდწლედი და რიგითს მუშაობას ეწევიან. ისინი დიდი სიამოვნებით შევლენ სახელოსნო სასწავლებლებში და ისწავლიან, რათა სპეციალობა შეიძინონ. ასეთები კი ჩვენში ათობით მოიპოვება. ჩვენ ორი ათასი კოლმეურნე გვყავს. აქედან შევძლებთ ყოველწლიურად სულ მცირე 40 კოლმეურნე ახალგაზრდა მივაწოდოთ სახელოსნო სასწავლებლებს, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს.

უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება

გუშინ, თბილისის **სტალინის** სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საამქროებში მოეწყო გაზეთების კითხვა და საუბრები, რათა გაცნობოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას — „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ" და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 2 ოქტომბრის დადგენილებებს.

სამჭედლო საამქროს მუშაკთა კოლექტივი დიდი მოწონებით შეხვდა მთავრობის ამ შესანიშნავ ღონისძიებას, რომელიც უზრუნველჰყოფს სოციალისტურ მრეწველობას კვალიფიციური კადრებით, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქტების სიუხვის შექმნის და ამ საფუძველზე კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში გადასვლისათვის პირობათა შექმნის ერთერთი გადამწყვეტი პირობაა.

ცნობილმა მჭედელმა ამხ. კ. ილურიძემ სთქვა, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა წარმოების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფისათვის. ამ ღონისძიების გატარებით ჩვენს ქარხნებს, ფაბრიკებს, მაღაროებს, შახტებს და ტრანსპორტს ეყოლება კარგად მომზადებული, თავის საქმის მცოდნე კადრები.

აღნიშნულ ბრძანებულებას და დადგენილებებს გაეცნენ ამწყობ საამქროშიც. ავიტატორმა ამხ. ვ. სამთელაძემ მუშათა ერთ ჯგუფს გააცნო აღნიშნული ღონისძიებანი. ზეინკალი ამხ. ხუბულური, გაბუნია, მიქაძე და სხვები, იწონებდნენ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებს, რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ ამით ჩვენ სამშობლოს შეექმნება მძლავრი სახელმწიფო შრომითი რეზერვები.

ასეთივე საუბრები ჩატარდა ქარხნის სხვა საამქროებში.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი მხურვალედ იწონებს სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნას

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი ინტერესით და კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებებს.

— ამ გადაწყვეტილებებს,—ამბობს ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. გ. კარსელი,—უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მტკიცე ბაზას ჰქმნის იმისათვის, რომ ჩვენი მზარდი მრეწველობა ახალი, კვალიფიციური ახალგაზრდა კადრებით შეივსოს.

— ეს ღონისძიება, — ამბობს საფეიქრო საამქროს უფროსი, — ინჟინერი ამხ. ნ. ბახტაძე, — უზრუნველჰყოფს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიას ასი ათასობით მუშა-ხელით, რომელიც ჭარბად მოიპოვებიან ქალაქად და საკოლმეურნეო სოფლებში.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების შექმნას მხურვალედ იწონებს ფაბრიკის კადრის მუშა, საუკეთესო სტახანოველი მჭსოველი მარო გამყრელიძე.

— მე,—ამბობს იგი, — ჩვენი საწარმოს საფაბრიკო - საქარხნო სასწავლებლის ყოფილი მოწაფე ვარ. მაგრამ განა ბევრია ფაბრიკაში საფაბრიკო - საქარხნო სკოლის კურსდამთავრებული მუშაქალი? ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი 90-ზე მეტმა კაცმა დაამთავრა. აქედან ამჟამად დაზგაზე მხოლოდ 20 კაცი მუშაობს. დანარჩენები აქეთ-იქით მძიმეფიზიკურ მუშაობენ. მათს მომზადებაზე და შენახვაზე დახარჯული სახელმწიფო სახსრები დაკარგული ალმოჩნდა. ახლა ასეთ მდგომარეობას ბოლო ეღება. ჭაბუკები, რომელნიც სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებს და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებს დაამთავრებენ, უნდა იქ გაიგზავნონ და იქ იმუშაონ, სადაც ისინი ყველაზე უფრო ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს, ჩვენს სოციალისტურ წარმოებას. (საქდესი).

ქვანახშირის მრეწველობის მუშაობა სექტემბერში

შეჯამებულია ქვანახშირის მრეწველობის სექტემბრის მუშაობის შედეგები. წარსულ თვეში ქვანახშირის ამოღება შესამჩნევად გაადიდა ჩვენი კავშირის თითქმის ყველა ძირითადმა ქვანახშირის რაიონმა. ამა წლის აგვისტოსთან შედარებით, ქვანახშირის სახალხო კომისარიატის შახტების საშუალო სადღეღამისო ამოღება 12.867 ტონით გადიდდა.

სექტემბერში კრივოროჟიეს მადნიორელებთან გაჩაღებული შეჯიბრების პირველ თვეში დონბასის მეშახტეებმა სერიოზულ სწარმოო წარმატებას მიაღწიეს. მათ ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო ამოღება, აგვისტოსთან შედარებით, 7.808 ტონა ქვანახშირით გაადიდეს. საშუალო სადღეღამისო დავალების დონეს პირდაპირ მიადგნენ „სტალინოუგოლისა" და „როსტოვუგოლის" კომბინატები. „სტალინოუგოლის" ექვსმა ტრესტმა (სულ თერთმეტია) დავალება მთლიანად და გადამეტებით შეასრულა.

კარგად მუშაობდნენ სხვა აუზების მოწინავე მეშახტეებიც. კუზბასმა სექტემბერში საშუალო სადღეღამისო ამოღება, აგვისტოსთან შედარებით, 2.910 ტონა ქვანახშირით გაადიდა, პოდმოსკოვეს აუზმა — 1940 ტონით, ყარაგანდისამ — 437 ტონით და სხვ.

გეგმის შესრულების დონის მიხედვით სექტემბერში წინ არის ყარაგანდის აუზი — 108,7 პროცენტი. მას მიჰყვებიან პოდმოსკოვეის აუზი — 106,9 პროცენტი და კუზბასი 101,1 პროცენტი.

ქვანახშირის სახალხო კომისარიატის წინასწარი ცნობების მიხედვით, 1 ოქტომბერს ქვანახშირი გეგმის გადამეტებით გამოუშვეს დონეცისა და პოდმოსკოვეის აუზების, ყარაგანდისა და „ბაკას უგოლის" მეშახტეებმა. (საკდესი).

ქირურგიული ოპერაცია რენტგენის სხივებით გაშუქებისას

ლენინგრადი, 3 ოქტომბერი (საკდესი). ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის რენტგენოლოგიის კათედრის დოცენტმა, მეორე რანგის სამხედრო ექიმმა ამხ. ფეოქტისტოვმა გააკეთა ქირურგიული მაგიდა. მაგიდას აქვს აპარატურა, რომლის შემწეობითაც ქირურგს შეუძლია ოპერაცია აწარმოოს რენტგენის სხივებით გაშუქებისას.

ავადმყოფს, რომელსაც ოპერაცია უნდა გაუკეთდეს, მიუყენებენ სინათლისაგან დაცულ ეკრანს. რენტგენის აპარატი მოთავსებულია პატარა ცილინდრში, რომელიც ეკრანთან ერთად მოძრაობს. ოპერაციის მწარმოებელი ქირურგი ფეხით დააწვება პედალს და დენს ჩაურთავს. ეკრანზე გამოჩნდება შიგნითა ორგანოებისა და ძვლების გამოხატულება. ეკრანისა და რენტგენის აპარატის გადაწევა-გადმოწევით ქირურგი ზუსტად არკვევს თუ სად გაჩერებულა ესა თუ ის უცხო სხეული საოპერაციო ადგილიანის ორგანიზმში და რენტგენის სხივების დახმარებით ამოაქვს იგი. ქირურგის ხელი დაცულია რენტგენის სხივების მავნებელი მოქმედებისაგან.

ლენინგრადის ქარხანამ „ბურევესტნიკმა" დაამზადა ამხ. ფეოქტისტოვის კონსტრუქციის რენტგენის აპარატის პირველი ეგზემპლარები.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 4 ოქტომბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება:

„მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, გუშინ გრძელდებოდა ოპერაციები ლონდონისა და სამხრეთ და შუა ინგლისის მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში გაზის ერთერთ ქარხანაში დიდი ხანძარი გაჩნდა. ჩვენი ავიაცია განსაკუთრებით წარმატებით დაესხა თავს ორ სამხედრო ქარხანას კოვენტრში, ჩესტერის მახლობლად. ორივე ქარხანაში განადგურებულია საამწყობო დარბაზები და მანქანები. თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა აგრეთვე სხვადასხვა აეროდრომს ლონდონში და სენტ ეთელის აეროდრომს კორნუოლის საგარაფოში, სადაც დანგრეულია ანგარები, ყაზარმები, დასაწვები* მოედნები და თვითმფრინავები. ეფექტიური იყო აგრეთვე აეროდრომის ბომბარდირება შორნეში. აქ ცეცხლი გაუჩნდა ყაზარმებს. ლონდონის ჩრდილოეთით გერმანიის ცალკეული ყუმბარმშენები თავს დაესხნენ რკინიგზის მატარებლებს და სპარაგო მანქანების კოლონებს.

გუშინ მტრის ავიაცია სუსტ აქტივობას იჩენდა. მტრის მხოლოდ ერთი თვითმფრინავი დაესხა თავს დასავლეთ გერმანიის სამრეწველო საწარმოებს და რამდენიმე თვითმფრინავი — ნორვეგიის სანაპიროს. ზარალი უმნიშვნელოა.

გუშინ მტრის 3 თვითმფრინავი დაკარგა, გერმანიის ავიაციამ — 4".

ბერლინი, 4 ოქტომბერი. როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, გუშინ გერმანიის 100-ზე მეტი ყუმბარმშენი ქვეყნ თავს დაესხა ლონდონს და გადმოჰყარა 150 ათასი ცილოგრამი ყუმბარა. თვითმფრინავთა ეკიპაჟებმა აღნიშნეს რგოლებმა ლონდონის სხვადასხვა პუნქტში დაინახეს მრავალი დანგრეული ნაგებობა და დიდი ხანძარი. ქალაქში დილიდანვე თითქმის განუწყვეტლივ აცხადებდნენ საჰაერო განგაშს.

გერმანული წყაროების გამოანგარიშებით, ინგლისელებმა სექტემბერში გერმანიაზე მოახდინეს 1.471 თავდასხმა. ამ თავდასხმების დროს ჩამოგდებულ იქნა 7.542 ყუმბარა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 ოქტომბერი. როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, 2 ოქტომბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენებმა ფართო ოპერაციები ჩაატარეს გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ქვეყნების სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. ამ რაიონების უმეტეს ნაწილში დაბალი ღრუბლიანობა იყო, რაც უადრესად ახდილებდა ინგლისის ავიაციის მოქმედებას. თვითმფრინავები არაერთხელ შეიყონა.

ინგლისის ავიაციის მთავარი ოპერაცია მიმართული იყო ჰამბურგის წინააღმდეგ, სადაც თვითმფრინავები ორი საათის განმავლობაში ინტენსიურად უშენდნენ ყუმბარას ნავთის ქარხანასა და ნავთსაცავებს.

ყველა ობიექტზე აფეთქება მოხდა და ძლიერი ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ყუმბარმშენთა სხვა რაზმები თავს დაესხნენ გერმანიასა და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაკებსა და ნავსაყუდლებს. თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ვილჰელმსჰავენს, შტეტინს, ამსტერდამს, როტერდამს, ანტვერპენს, ფლისინგენს, ოსტენდესა და ემდენს.

ამ ოპერაციების დროს ყუმბარა დაეშინეთ გერმანიისა და მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის 13 აეროდრომს. ესენში ყუმბარა დაეშინეთ კრუპის საბრძოლო ქარხნებს.

გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ლონდონის მთელ რიგ რაიონებში, სადაც დაზიანებულია რამდენიმე შენობა. მსხვერპლი უმნიშვნელოა.

ინგლისის სხვა რაიონებში მტერმა ყუმბარა დაუშინა ცალკეულ პუნქტებს მდინარე ტემზის ხეობაში, აგრეთვე ესექსის, კენტისა და კორნუოლის საგარაფოებში; არსებული ცნობების თანახმად, სერიოზული ხასიათის ნგრევა არა ყოფილა. ცენტრალური ინგლისის ერთერთ ქალაქში არიან მოკლულნი და დაჭრილნი, მეორე ქალაქში დანგრეულია მრავალი სახლი.

3 ოქტომბერს ღამით გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ინგლისის 31 რაიონს.

ლონდონი, 4 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, გუშინ გერმანიის ავიაციამ ინგლისზე თავდასხმა მოახდინა ინგლისის შემოდგომის პირველი ნისლის პირობებში. ცალკეული თვითმფრინავები დღის მეტ ნაწილს თავს დასტრიალებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის საჰაეროებს და უწესრიგოდ ჰყრიდნენ ყუმბარებს. თვითმფრინავებმა, რომლებიც ღრუბლების ზემოთ დაფრინავდნენ, უმნიშვნელო ზარალი მიაყენეს ლონდონის ზოგიერთ რაიონს. (საკდესი).

ჰიტლერის შეხვედრა მუსოლინისთან

ბერლინი, 4 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აქვეყნებს ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ დღეს, დილის 11 საათზე, ბრენერში ჰიტლერი მუსოლინის შეხვდა და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. ჰიტლერის სპეციალური მატარებელი 11 საათზე მივიდა ბრენერში, იტალიის სასაზღვრო ვაგზალზე. ვაგზალი მორთული იყო იტალიისა და გერმანიის ბაირაღებით. შემდეგ გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ მოლაპარაკება სწარმოებდა მუსოლინის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და თანდასწრებით.

ჰიტლერის ახლავან გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელი, გენერალ-ფელდმარშალი კეიტელი, გერმანიის მთავრობის მეუღვიმი სიტყვის განყოფილების ხელმძღვანელი დიტრიხი და სხვები. მუსოლინის ბრენერში გამგზავრებისას თან ახლდა გერმანიის რომაელი ელჩი მეკენზენი.

---

5 ოქტომბერს, საღ. სრულ 9 საათზე, ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პრ. 21) შესდგება ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ამხ. **ზავრიევის** ლექცია რუსულ ენაზე.

„საზავო ხელშეკრულებათა ოკეანისშემდგომი სისტემა (ვერსალის ხელშეკრულება და ვაშინგტონის შეთანხმება) და მათი მარცხი".

ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება ფილარმონიის სალაროში დღეს 12-დან 6 საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

---

7 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის თბილისის ფილიალის (რუსთაველის პრ№ 33/35) სალექციო დარბაზში შესდგება დოც. **ე. ბურჯალაძის** ლექცია ქართულ ენაზე, თემა: **ლ ენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების შესახებ".**

ბილეთების ფასი 1 მან.

ბილეთები იყიდება ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის სალაროში 12 საათიდან 8 საათამდე. და ყველა რაიპარტკაბინეტში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

წინასაოქტომბრო შეჯიბრება ჭყვარჩელის მაღაროში

აჭარმაარა, 4 ოქტომბერი (საკდესი). ტყვარჩელის მეშახტეთა შორის ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება.

ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო მთელი წლის განმავლობაში მკვეთრად ჩამორჩებოდა ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულებაში. არ სრულდებოდა აგრეთვე შახტების გათხრის გეგმაც. ახლა, მთ

XII საჭადრაკო ჩემპიონატი

გათამაშება დამთავრდა 3 ოქტომბერს

მხოლოდ უკანასკნელი შვიდი პარტიის დამთავრებამ გამოარკვია ტურნირის საბოლოო შედეგი. ლილიენტალმა ყველაზე ზუსტი გზა ჰპოვა ბონდარევსკისთან ნათამაშევ პარტიაში გამარჯვების მოსაპოვებლად და მალე მოიგო. ამით მოსკოვის ჩემპიონი დაეწია ტურნირის ლიდერს.

თუ სმისლოვი მიკენასს მოუგებდა, შეეძლო გამარჯვებულებს გვერდში ამოსდგომოდა. მაგრამ მოსკოველის მთელი მეცადინეობა ამაო იყო და ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, გამოირკვა ჩემპიონატის პირველი სამი ადგილი.

გერსტენფელდმა ბოლესლავსკის მოუგო, რითაც ბოლესლავსკი ნახევარი ქულით ჩამორჩა კერესს, რომელიც მეოთხე ადგილას აღმოჩნდა.

ბოტვინიკმა მალე მოუგო რუდაკოვსკის, ხოლო დუბინინმა — კოტოვს.

მაკოგონოვ - სტოლბერგისა და კონსტანტინოპოლსკი ლევენფიშის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ტურნირის საბოლოო შედეგი ასეთია: პირველსა და მეორე ადგილს იყოფენ ბონდარევსკი და ლილიენტალი, რომელთაგან თვითეულს 13,5 ქულა აქვს. მესამე ადგილი დაიკავა სმისლოვმა—13 ქულა. მეოთხე კერესმა, რომელსაც აქვს 12 ქულა, მეხუთე და მეექვსე—ბოლესლავსკიმ და ბოტვინიკმა—11,5 ქულა თვითეულს. შემდეგ მოჰყვებიან: დუბინინი, ვერესოვი და მაკოგონოვი—10,5 ქულა თვითეულს, პეტროვი 9 ქულა, ლისიცინი და რაგოზინი—8,5 ქულა თვითეულს, პანოვი, სტოლბერგი, კონსტანტინოპოლსკი და მიკენასი—8 ქულა თვითეულს, გერსტენფელდი — 7 ქულა, კოტოვი და ლევენფიში—6,5 ქულა თვითეულს, რუდაკოვსკი—5,5 ქულა.

ამ მონაწილეებს, რომელთაც პირველი ექვსი ადგილი დაიკავეს, ეტონებითა და სპეციალური სიგელებით აჯილდოებენ. (საკდესი).

ჯუნიორის შედეგები

(საუბარი სსრ კავშირის მე-12 საჭადრაკო ჩემპიონატში გამარჯვებულ ამხ. ი. ზ. ბონდარევსკისთან)

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. შენ ნათელჰყო, რომ საბჭოთა კავშირში შესანიშნავ ახალგაზრდა მაესტროთა ახალი ჯგუფი აღზრდილა. წინათ ყველა დიდი ტურნირის ფინიშში თავს იჩენდა ხოლმე საჭადრაკო შეჯიბრებაში ნაცად მაესტროთა გამოცდილება. ახალგაზრდობა კი, როგორც წესი, ჩამორჩებოდა. ახლახან დამთავრებულ შეჯიბრებაში ახალგაზრდა მაესტროებმა მთელი ტურნირი მწყობრად ჩაატარეს და ფინიშშიც კარგად გამოვიდნენ.

სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატში უფრო ნაკლები წარმატება ჰქონდათ გროსმაისტერებს. თუმცა კერესისა და ბოტვინიკის მიერ ჩატარებული პარტიები ერთობ საგულისხმოა.

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო მოსკოვის ჩემპიონი ანდრია ლილიენტალი, რომელმაც ამ ტურნირში თამაშის ნამდვილი გროსმაისტერული კლასი გვიჩვენა.

სწრაფად იზრდება ახალგაზრდა საბჭოთა მაესტრო ვასილ სმისლოვი. ორი წლის განმავლობაში მან შესძლო ჩვენს უძლიერეს მოჭადრაკეთა რიგებში დაწინაურებულიყო. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შემდგომში სმისლოვი ბრწყინვალე წარმატებას მიაღწევს.

ტურნირში დიდი კომბინაციური უნარით გაგვახარა უკრაინის ახალმა ახალგაზრდა ჩემპიონმა ისააკ ბოლესლავსკიმ. ესეც მრავალმთქმელი მოჭადრაკეა. იგი ბევრსა და სერიოზულად მუშაობს თავის თავზე, განუწყვეტლივ აუმჯობესებს საჭადრაკო თამაშის მეთოდიკას.

მე ბედნიერი ვარ, რომ საპატიო ადგილი მოვიპოვე ტურნირში. ჩემს წარმატებას ხელი შეუწყო დიდმა მომზადებამ. საკმარისია ვთქვა, რომ მარტო ამ უკანასკნელი სამი-ოთხი თვის განმავლობაში 46 სატურნირო პარტია ვითამაშე მაესტროებთან ან მაესტრობას კანდიდატებთან. ეს, უეჭველად, დიდი დატვირთვაა, მაგრამ ამან უზრუნველჰყო ჩემი გამძლეობის გამომუშავება და ნერვების გამოწრთობა.

ამ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით შეუპოვრად ვმუშაობდი ენდშპილის შესწავლაზე. ამან, როგორც ტურნირის შედეგებიდან სჩანს, კეთილი ნაყოფი მომიტანა. (საკდესი).

ახალგაზრდობის წარმატება

(საუბარი სსრ კავშირის მე-12 საჭადრაკო ჩემპიონატში გამარჯვებულ ამხ. ა. ა. ლილიენტალთან)

ტურნირი დაძაბული და საგულისხმო იყო. ჩინებული წარმატება მოიპოვა ახალგაზრდობამ. პირველ რიგში მინდა აღვნიშნო ახალგაზრდა მაესტრო ბონდარევსკი, რომელმაც მთელი შეჯიბრება მტკიცედ და კარგად ჩაატარა.

ნიჭიერად თამაშობდა სმისლოვი. იგი კინაღამ იმ გამარჯვებულთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებმაც პირველი ადგილი გაიყვეს.

ბევრი მოელოდა, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელწოდების ძირითადი პრეტენდენტები გროსმაისტერები ბოტვინიკი და კერესი იქნებოდნენ. მეც ამ აზრისა ვიყავი. როგორც ვიცით, ასე არ მოხდა. მაგრამ ამ მოჭადრაკეთა თამაშის შესახებ აზრი არ უნდა შეგვეცვალოს. ბოტვინიკიცა და კერესიც კვლავ პირველხარისხოვან მსოფლიო მოთამაშეებად რჩებიან.

რამდენიმე სიტყვა ჩემს შესახებ. ამ უკანასკნელ ხანს მე მონაწილეობა მივიღე ორ ტურნირში — შეჯიბრებაში მოსკოვის პირველობაზე და სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატში. ორივე შეჯიბრებაში შევძელი საპატიო ადგილი დამეკავებინა. მე ბედნიერი ვარ, რომ, როგორც მოსკოვის ჩემპიონს, საბჭოთა საჭადრაკო ხელოვნების უძლიერეს მაესტროთა შეჯიბრების დროს მომიხდა დამეცვა წითელი დედაქალაქის ღირსება.

ტურნირისათვის რამდენადმე თავისებურად ვემზადებოდი — გაძლიერებით ვეწეოდი წყალჯოგობრობას. ჩემი აზრით, ფიზიკური გამოწრთობა უმთავრესი საქმეა ასეთი პასუხსაგები შეჯიბრების წინ.

ჩემპიონატის პირობების მიხედვით, სსრ კავშირის პირველობაზე მატჩში უნდა ვითამაშო მაესტრო ბონდარევსკისთან, რომელმაც ჩემთან ერთად პირველი და მეორე ადგილი გაიყო ტურნირში. მანამდე საჭირო იქნება კარგად დავისვენო (საკდესი).

ბონდარევსკიმ და ლილიენტალმა გაიყვეს პირველი და მეორე ადგილი

3 ოქტომბერს გაიმართა საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ მე-19 ტურში დაუმთავრებელი პარტიების თამაში. ლილიენტალმა მე-55 სვლაზე მოუგო ბონდარევსკის. ამრიგად, თვითეულმა მათგანმა 13,5 ქულა დააგროვა და პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს.

სსრ კავშირის ჭადრაკის ჩემპიონის საკითხი გადაწყდება ბონდარევსკისა და ლილიენტალს შორის გამართულ სპეციალურ მატჩში. (საკდესი).

იგორ ზაქარიას-ძე ბონდარევსკი

იგორ ბონდარევსკიმ მხოლოდ 1925 წელს ისწავლა ჭადრაკის თამაში, მაშინ მოწაფე იყო 12 წლისა. ადრე მიიღო მონაწილეობა სერიოზულ შეჯიბრებებში და 14 წლისას მოჰკადრაკეთა ტურნირში დონის როსტოვში მესამე სრულიად-საკავშირო კატეგორია მიენიჭა, ხოლო ორი წლის შემდეგ ამ ჭალაკის ჩემპიონი გახდა.

მცირე შესვენების შემდეგ, რაც უნივერსიტეტში შესვლამ გამოიწვია, იგორ ბონდარევსკიმ კვლავ სერიოზულად მიჰყო ხელი საჭადრაკო თეორიის შესწავლას. 1934 წელს იგი მოჰყვა რსფსრ პირველობაზე გამართული ტურნირის მონაწილეთა შორის. აქ გაიყო მე-3 და მე-4 ადგილი.

1935 წელს ბონდარევსკი კვლავ პირველ ადგილს იკავებს დონის როსტოვში გამართულს ულტიმეტს მოჭადრაკეთა ტურნირში. შემდეგ წელს კი პირველ ადგილზე გამოდის პირველი კატეგორიის მოთამაშეთა სრულიად-საკავშირო ტურნირზე. სსრ კავშირის X ჩემპიონატში მას საბჭოთა კავშირის მაესტროს სახელწოდება მიენიჭა.

იგი სწავლის შეუწყვეტლად განაგრძობს წინსვლას საჭადრაკო ხელოვნებაში. თამაშობს ჩვენი ქვეყნის ყველა უდიდეს ტურნირში — XI სრულიად-საკავშირო ჩემპიონატში, 1939 წლის საწვრთნელ ტურნირში.

მთელი XII ჩემპიონატი ბონდარევსკიმ განსაკუთრებული ძალითა და სიდინჯით ჩაატარა. მას პირველი ტურიდანვე არაფისთვის დაუთმია წამყვანი ადგილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის

ბიუროკრატიული გამოგონება, ანუ როგორ „შეამჭიდროეს“ სამუშაო დრო

თბილვაჭრობის დირექტორის ამხ. ა. რინენბერგის კაბინეტში თათბირი მიმდინარეობდა. სამუშაო დროის შემჭიდროების საკითხებზე მსჯელობდნენ. მუშაობის აღრიცხვისა და კონტროლის ახალი ფორმების ძიებაში იყვნენ. იბჭეს, ითათბირეს და დაიშალნენ... დირექტორმა კი იმავე დღეს მორიგი ბრძანება № 1038 გამოსცა. ბრძანებაში ნათქვამია:

— 29 აგვისტოდან თბილვაჭრობის დირექციის ყველა მუშაკს ექნეს რვეული, რომელშიც ყოველდღიურად, სამუშაო დღის დაწყებიდან ჩაიწერება როგორც მიმდინარე მუშაობის დღიური ვეგმა, ისე სპეციალური დავალებები. სამუშაო დღის დამთავრებისას განყოფილებათა გამგეები ამოწმებენ ყოველი მუშაკის მიერ ყოველდღიური დავალების შესრულებას.

როდესაც ამ ბრძანებას სწერდა, ამხ. რინენბერგს აღბათ ერთი მიზანი ჰქონდა: სამუშაო დღის შემჭიდროება, თანამშრომელთა მაღალნაყოფიერი მუშაობის მიღწევა, სამუშაო დროის უნაყოფოდ ფლანგვის აღკვეთა. ასეთი მიზანი და ღონისძიება თავისთავად მისასალმებელი და ქების ღირსია. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ სწორედ იგივე ბრძანება ხელს უწყობს სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვას.

29 აგვისტოს თანამშრომლები სამუშაოზე გამოცხადდნენ, საღრიცხვო ჟურნალში გატარდნენ და მუშაობას შეუდგნენ. ყველას საკუთარი სქელტანიანი რვეული ჰქონდა.

ბუხჰალტერმა ამხ. დ. ცხადაძემ საქონლის მისაღებად მიმდომარეობები გასცა და ეს ამბავი პირად რვეულში შეიტანა; საექსპედიციო კანტორის უწყისი შეადგინა, — ისიც რვეულში ჩასწერა; სალაროს ორდერი გამოსწერა და ისიც ჩანიშნა; საბანკო ოპერაციები მოახდინა, რკინიგზის ზედნადებები გააფორმა და გაგზავნა, — ესენიც აღრიცხა. ასევე იქცევიან სხვა თანამშრომლებიც, რადგან ამას ბრძანება მოითხოვს.

ზოგი თანამშრომელი მეტისმეტ „აკურატობას“ იჩენს. მაგალითად, ეკონომისტი ამხ. ნიკოლეიშვილი შესრულებულ ოპერაციებს ჯერ შავად სწერს, ხოლო შემდეგ რვეულში სუფთად გადასწერს ხოლმე. რვეულებში ხშირად აღინიშნება ისეთი ოპერაციებიც კი, რომელთა შესრულებაზე უფრო ნაკლები დრო იხარჯება, ვიდრე მის რვეულში გადატანაზე, და ყველაფერი ეს ხდება სამუშაო საათებში, რადგან სხვა დროს შეუძლებელიცაა, — დღის 9 საათზე შესრულებული წვრილმანი ოპერაცია დღის 3 საათზე როგორ გაგახსენდება?

სპეცგანყოფილების თანამშრომლის ამხ. რატიანის რვეულიდან ვიგებთ, რომ ჟურნალში ბრძანება გაატარა, ანკეტა შეავსო, ორი მიმართვა დაბეჭდა, სია შეადგინა, ანკეტებში საყვედურის გამოცხადებები შეიტანა, ხოლო რვეულში ძალიან ხშირად ნახავთ, რომ მას პარტიული კრების ოქმები გადაუბეჭდავს. უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ამას ხელმძღვანელობენ ადასტურებს სპეცგანყოფილების უფროსი და ამავე დროს პარტბიუროს მდივანი ამხ. სიხარულიძე.

ვინ იტყვის, რომ პარტიული კრების ოქმები არ უნდა გადაიბეჭდოს! ეს აუცილებელი და პარტიული მეურნეობის წესრიგში მოყვანის უდავო პირობაა. მაგრამ ამხ. სიხარულიძემ და რატიანმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი საჭმეები სამუშაო საათებში არ კეთდება.

სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდება. თანამშრომლები განყოფილებების გამგეებს შემოესევიან, ზოგჯერ რიგიც იმართება. გამგემ უნდა დაუდასტუროს მათ, რომ რვეულში აღნიშნული სამუშაო შეასრულეს. იფლანგება სამუშაო დრო, იკარგება ძვირფასი წუთები.

ზოგი იფიქრებს: რვეულებში ჩანაწერებს შეამოწმებენ თბილვაჭრობის ხელმძღვანელები და ამით იმსჯელებენ მუშაკთა უნარიან თუ უვარგის მუშაობაზეო. მაგრამ ასე არ იქნევიან. განყოფილების გამგის შემდეგ არავინ არ ამოწმებს რვეულებში ჩანაწერებს, ხოლო განყოფილების გამგემ ისეც კარგად იცის, თუ რას აკეთებს მისი თანამშრომელი.

აქ შემოღებულია კიდევ ასეთი წესი: სავაჭრო ორგანიზაციებიდან მოსული ამხანაგებისათვის ყოველ განყოფილებაში აქვთ სპეციალური ჟურნალი, სადაც მომსვლელმა უნდა ჩასწეროს მოსვლისა და წასვლის დრო. ასეც იქცევიან, მაგრამ თუ რა აზრი აქვს ამ პროცედურას, თვით თბილვაჭრობის ხელმძღვანელმა ამხანაგებმაც კარგად არ იციან. ესეც ხომ ჭიანჭველისა და დროის უნაყოფოდ ხარჯვაა?

უკანასკნელად „საზოგადოებრივ აზრს“ ამზადებენ და კიდევ ფიქრობენ ასეთი „ღონისძიების“ გატარებას: შემოიღონ საკონტროლო ფურცლები, რომლებსაც თანამშრომლები რომელიმე ორგანიზაციაში წასვლისას თან წაიღებენ. თანამშრომელმა ორგანიზაციის ხელმძღვანელს ფურცელზე უნდა აღანიშნინოს დაწესებულებაში მისვლისა და გამობრუნების დრო. საკონტროლო ფურცელზე აღინიშნება აგრეთვე თბილვაჭრობიდან წასვლისა და დაბრუნების დრო.

თუ რა დიდი უხერხულობანი სდევს ასეთ „ღონისძიებებს“, ამაზე სამართლიანად სწერდა გაზეთი „პრავდა“. იგი ანალოგიურ ამბებს ბიუროკრატულ გამოგონებას უწოდებდა. რატომ დაივიწყეს ეს ამხანაგებმა თბილვაჭრობიდან?

უდავოა: სამუშაო დრო უნდა შევამჭიდროთ. მაგრამ კონტროლის იმ სისტემით, რომელსაც ამხ. რინენბერგი გვთავაზობს, არა თუ მივაღწევთ მიზანს, არამედ უნაყოფოდ დავხარჯავთ დროს, ჭიანჭველს.

ჯ. ჭიოკაძე

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გადამეჯებით შეასრულა სექტემბრის გეგმა

ჭიათურა, (საქდესი). ჭიათურმარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღარომ მარგანეცის ამოღების სექტემბრის გეგმა შეასრულა 110,1 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა—111,5 პროცენტით.

წინ არის მაღაროს მეოთხე უბანი, რომელსაც ამხ. მ. კენჭოშვილი ხელმძღვანელობს. უბნის კოლექტივმა სექტემბრის გეგმა 123,3 პროცენტით შეასრულა.

ახალი, აყვავებული კოლხიდისათვის

— წინ! ახალი, აყვავებული, გაფურჩქვნილი კოლხიდისათვის, — ბახაგო კოლმეურნეებო! — ასე თავდება ზუგდიდის რაიონის კოლმეურნე ფერგანელთა მოწოდება აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ლანჩხუთის, ფოთის, ჩოხატაურის, წულუკიძის და სამტრედიის რაიონების კოლმეურნეებისადმი.

თვითონ ზუგდიდელი კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან აღებული ვალდებულების — კოლხიდაში 250 ათასი მანეთის სამუშაოს შესრულებისათვის. ზუგდიდის რაიონის 2.500-ზე მეტი კოლმეურნე 11,5 კილომეტრზე ჯებირს აგებს პატარა-ფოთთან, რიონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, რომ მდინარე კალაპოტიდან არ გადმოვიდეს და ზიანი არ მიაყენოს კოლმეურნეობების ნარინჯევან მცენარეთა პლანტაციებს, ახალ, აყვავებულ სოციალისტურ სოფელს.

კოლმეურნეებთან იმყოფება და მათს მუშაობას ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. დ. ცანავა.

კოლხიდის ჭაობის დაშრობისათვის ენერგიულად იბრძვიან ხობელი კოლმეურნეებიც, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ ზუგდიდელთა მოწოდებას. დღემდე მათ კოლხიდაში შესრულებული აქვთ 425.700 მანეთის სამუშაო. ხობელმა კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს კოლხიდაში დამატებით შეასრულონ 180 ათასი მანეთის სამუშაო.

კოლხიდმშენის ჭალადიდის სამუშაო უბანში 24 სექტემბრიდან ხობის რაიონის 1200 კოლმეურნე და 500 ურემი მოვიდა სამუშაოდ. ისინი მდინარე ხობის გასწვრივ აგებენ ჯებირს.

ხობის რაიონის კოლმეურნეებს კოლხიდის მშენებლობაზე ხელმძღვანელობს საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანი ამხ. პ. ჯოჯუა.

დღემდე ჩატარებული მუშაობის შედეგების მიხედვით ყველას გაუსწრო წალენჯიხის რაიონმა. ამ რაიონის 1500 კოლმეურნე ორგანიზებულად მოვიდა კოლხიდაში სამუშაოდ. წალენჯიხელებმა ზუგდიდელთა მოწოდების საპასუხოდ აიღეს ვალდებულება შეესრულებინათ 100 ათასი მანეთის სამუშაო. ამ ვალდებულების გასანაღდებლად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის.

წალენჯიხელები კოლმეურნეობის ფერგანელთა მიერ შესრულებულმა სამუშაომ მაღალი შეფასება მიიღო. წინ მიდიან აგრეთვე გაგურის, ეწრის, ჯურყვეთის, ხიდმაღლის, შრომისუბნის და სხვ. კოლმეურნეობები.

შრომის მაღალი ნაყოფიერების მაჩვენებლებს იძლევა ზემოჩხატის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გალაქტიონ ჯორბენაძე, რომელიც სამუშაო უბანში კომკავშირის კომორგადაა. იგი დღიურ დავალებას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ცეხრეთ 3 ოქტომბერს, ნაცვლად 6 კუბური მეტრისა, 11 კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულა, რაც გეგმის 189 პროცენტს უდრის. კოლმეურნე ჭ. გალოგრე დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი მუშაობს წესიერად. მაგალითად, სოფ. ნინოშვილის კოლმეურნეობას მიცემული გეგმა 3 ოქტომბრის ჩათვლით მხოლოდ 23 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. იქ ვერ უზრუნველჰყვეს მუშახელის მთლიანი გამოყვანა. ნაცვლად 52 მუშახელისა, გამოყვანილი ჰყავთ მხოლოდ 38 და სრული დატვირთვით არც ისინი მუშაობენ. მსგავსი მდგომარეობაა ჭინათის კიროვის სახელობისა და ტაბანათის კოლმეურნეობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიკოოპკავშირი სამუშაო უბნებს საკმაო რაოდენობით ვერ აწვდის პირველი მოთხოვნილების საქონელს. კერძოდ ნიგოითის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ (თავმჯდომარე ჭანიშვილი) მესამე და მეოთხე უბნებში როგორც იქნა გახსნა სავაჭრო წერტილი, მაგრამ მის წესიერ მომარაგებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

ვ. მექვაბიშვილი

აგებენ წყალსაცავებს, გაკყავთ წყალსადენი

ახალციხე, (საქდესი). ახალციხის რაიონის კოლმეურნეობები საქმით გამოეხმაურნენ ვორონეჟის ოლქის ტალოვკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „ეკლეზსოდოროჟნიკის“ წევრთა მოწოდებას თვითეულ კოლმეურნეობაში საკუთარი წყალსატევისა და კაშხალის აგების შესახებ.

სოფელ ანდრიაწმინდას კოლმეურნეობამ წყალსადენი გაიყვანა. წყალსადენის გაყვანა მთავრდება სოფელ აწყურის კოლმეურნეობაში. წყალსადენის გაყვანას შეუდგნენ სოფელ საკუნეთის კოლმეურნეობის წევრები. სოფელ სუფლისის კოლმეურნეებმა სარწყავი არხი გაიყვანეს.

სოფელ აბის კოლმეურნეობამ წყალსატევი ააგო, რომელშიაც განზრახულია მოშენდეს იხვები და ბატები.

ყურძნის დამზადება

ზესტაფონი, (საქდესი). ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ყურძნის კრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება. 1 ოქტომბრისათვის ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია 58,5 პროც., აქედან შამპანურის მასალისა — 67,4 პროც.

სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების საქმეში წინ არიან ზედასაქარის, ქვედასაზანოს, პირველი და მეორე სვირის სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობები, რომლებსაც გეგმა შესრულებული აქვთ 70-85 პროც.

შამპანური კომბინატის ღვინის ქარხანა, რომელიც ყურძნის დამზადებას აწარმოებს, ამ საქმისათვის ყოველმხრივ მომზადებული არ არის. მას არა აქვს საკმარო რაოდენობის ტარა, აკლია მუშახელი, მიმღებ პუნქტებზე დიდი რიგებია, რაც კოლმეურნეების და მუშა-საქონლის გაცდენას იწვევს.

კოლმეურნე ფერგანელები ენთუზიაზმით მუშაობენ

ლანჩხუთი, 4 ოქტომბერი, (ჩვენი კორესპონდენტისაგან). მდინარე რიონის ნაპირების გამაგრება წარმატებით მიმდინარეობს. კოლმეურნეთა ის უსაზღვრო ენტუზიაზმი, რომელიც ჯებირების მშენებლობაზე, მასობრივი გამოსვლის პირველ დღესვე გამოიჩინეს, ოდნავაც არ შენელებულა. მშენებლობაზე ყოველდღიურად 1500-მდე კოლმეურნე მუშაობს.

კოლმეურნეებმა, საგებლობენ კარგი ამინდებით, მთელი ენერგიით გაშალეს მუშაობა. კოლმეურნეთა უმრავლესობა მიცემულ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. 3 ოქტომბრამდე შესრულებულია 48681 კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, რაც საერთო გეგმის 63,5 პროცენტს უდრის.

სამუშაოთა უბნებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ და ფერგანელთა გამოცდილების დანერგვამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. საღმენებლო შტაბის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მესამე სამუშაო უბანს ჰქონდა, უკანასკნელად მე-4 უბანს გადაეცა (უბნის უფროსი შ. კალანდარიშვილი). ეს უბანი დღიურ დავალებას 124,5 პროცენტით ასრულებს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2080 კუბური მეტრისა, აქ უკვე 2590 კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს.

მუშაობაში სოფ. არჩეულის ე. ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობიდან თავი ისახელა აკ. სალუქვაძის ბრიგადამ, რომელმაც 2 ოქტომბრის დღიური დავალება 206 პროცენტით შეასრულა. ნიგოითის კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ ვადაზე ადრე შეასრულა მიცემული გეგმა და ახლა იგი ამავე კოლმეურნეობის მეორე ბრიგადას ეხმარება. ნაკისრი ვალდებულება ვადამდე შეასრულა სოფ. ჩოლობარგის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის წევრთა მიერ შესრულებულმა სამუშაომ მაღალი შეფასება მიიღო. წინ მიდიან აგრეთვე გაგურის, ეწრის, ჯურყვეთის, ხიდმაღლის, შრომისუბნის და სხვ. კოლმეურნეობები.

შრომის მაღალი ნაყოფიერების მაჩვენებლებს იძლევა ზემოჩხატის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გალაქტიონ ჯორბენაძე, რომელიც სამუშაო უბანში კომკავშირის კომორგადაა. იგი დღიურ დავალებას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ცეხრეთ 3 ოქტომბერს, ნაცვლად 6 კუბური მეტრისა, 11 კუბური მეტრი მიწის სამუშაო შეასრულა, რაც გეგმის 189 პროცენტს უდრის. კოლმეურნე ჭ. გალოგრე დღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი მუშაობს წესიერად. მაგალითად, სოფ. ნინოშვილის კოლმეურნეობას მიცემული გეგმა 3 ოქტომბრის ჩათვლით მხოლოდ 23 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. იქ ვერ უზრუნველჰყვეს მუშახელის მთლიანი გამოყვანა. ნაცვლად 52 მუშახელისა, გამოყვანილი ჰყავთ მხოლოდ 38 და სრული დატვირთვით არც ისინი მუშაობენ. მსგავსი მდგომარეობაა ჭინათის კიროვის სახელობისა და ტაბანათის კოლმეურნეობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიკოოპკავშირი სამუშაო უბნებს საკმაო რაოდენობით ვერ აწვდის პირველი მოთხოვნილების საქონელს. კერძოდ ნიგოითის სოფლის კოოპერატივის გამგეობამ (თავმჯდომარე ჭანიშვილი) მესამე და მეოთხე უბნებში როგორც იქნა გახსნა სავაჭრო წერტილი, მაგრამ მის წესიერ მომარაგებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

ვ. მექვაბიშვილი

ბ. ჟურაშვილი — საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი

ნახევარი მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი გეგმის ზევით

მახარაძის რაიონმა წელს სოციალიზმის ქვეყანას უნდა მისცეს 11.174.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ე. ი. რესპუბლიკური გეგმის თითქმის მეხუთედი.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას მახარაძის რაიონის ბოლშევიკებმა, ფართო მასებთან ერთად, ენერგიულად მოჰკიდეს ხელი. ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა მახარაძის რაიონს 1 ოქტომბრისათვის შესრულებული ჰქონდა 95,1 პროცენტით.

გეგმის რაოდენობრივ შესრულებასთან ერთად ჩვენ არ ვივიწყებთ ხარისხსაც. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 71 პროცენტი, მეორე ხარისხის—12 და მესამე ხარისხისა—17 პროცენტი.

ჩაის ფოთლის კრეფაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ვ. ჯაბუა) მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე ჰექტარზე საშუალოდ უკვე მიიღო 3.240 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამ კოლმეურნეობის მეთერთმეტე ბრიგადამ (ბრიგადირი — გ. ხურციძე), ჩაის ფოთლის კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მოგვცა. აგროწესების საუკეთესოდ გატარებით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 5.800 კილოგრამი ჩაი. შრომის სწორი ორგანიზაციით, რგოლების სწორად დაკომპლექტებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ამ ბრიგადის ყველა წევრი სტახანოველი და დამკვრელია.

კოლმეურნეები შურა კვაჭანტირაძე, ლიუდა ხურციძე, ლიზიკო ხურციძე, ანგელა ცენტერაძე, დარიკო ქავჭარაძე, ზინა ჯაბუა, ზინა ღლონტი, დარეჯან ტაკიძე და სხვები თვითეული ყოველდღიურად საშუალოდ 70-80 კილოგრამს ჩაის ფოთოლს ჰკრეფს.

ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ჩაის ფოთლის კრეფის 5 თვის გეგმა შესრულებული აქვს 101,1 პროცენტით, მოკრეფილია 776.000 კილოგრამი კარგი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

ამ წარმატებათა მიღწევაში კოლმეურნეობას დიდ დახმარებას უწევდა და უწევს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ყალიჩავა). პარტიულ კრებებზე სისტემატურად ისმენენ კოლმეურნეობის როგორც თავმჯდომარის, ისე ცალკეული ბრიგადების მოხსენებებს და დროზე სახავენ და ატარებენ საჭირო ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჩაის ფოთლის კრეფის კარგ მაგალითს იძლევა აგრეთვე სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — მ. ორაგველიძე). იგი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. კოლმეურნეობის ჩაის ფოთლის კრეფის ოსტატები, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები: ზინა ნადირაიშვილი, ელენე მჟავანაძე და ნინო აბულაძე დღიურ დავალებას 300-400 პროცენტით ასრულებენ.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე გურიანთის, მელექედურის, შუადგაბზუს, გომის, ფამფალეთის, ცხემლისხიდის და სხვა კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ლაითურის ს. ქიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ერ. გობრონიძე), რომელსაც ხუთი თვის გეგმა შესრულებული აქვს 104 პროცენტით და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი—პ. ყაჯრიშვილი), სადაც გეგმის შესრულება 101,2 პროცენტს უდრის.

ამ საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებით აღსანიშნავია: ვერა რუდიუკის, პარასკა პუხკას, ნადია გეტმანჯოს, ზინა დომნიას (ლაითური), ნურა ბოროდინას, ევდოკია კოვალის და პოლია ვალობოევას (ნასაკირალი) ენერგიული ბრძოლა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებისათვის. თვითეული მათგანი დღიურ დავალებას 2-3 ჯერ აჭარბებენ.

მაგრამ ეს წარმატებები როდი ნიშნავს, თითქოს რაიონში ყველაფერი რიგზე იყოს. რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც, უმთავრესად შრომის მოუწესრიგებლობის, ბრიგადებისა და რგოლების არასწორად დაკომპლექტების და შრომის დეზერტირების მიმართ საჭირო ზომების მიუღებლობის გამო, ვერ ასრულებენ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებს, ხელს უშლიან რაიონს ვალდებულების დროზე და გადაჭარბებით შესრულებაში.

ნაღობილევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. გობრონიძემ არც კი იცის, თუ რამდენი ქალი და კაცი მუშაობს ჩაის პლანტაციებში. აქ საერთოდ მოუწესრიგებელია შრომა, ფორმალურად არის მოწყობილი რგოლები და სხვ. კოლმეურნეობას წელს ჩაის ფოთლის კრეფის არცერთი თვის გეგმა არ შეუსრულებია, თუმცა ვალდებულების გადაღებისათვის ყველა პირობა

იაკობ გოგებაშვილი

დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

(ბიოგრაფიული ცნობები)

იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი—ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი, პუბლიცისტი, საბავშვო მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მე-19 ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე — დაიბადა 1840 წლის

27 ოქტომბერს (ძველი სტ. 15 ოქტომბერს) სოფ. ვარიანში, გორიდან 12-13 კილომეტრის მანძილზე.

იაკობი 9 წლისა იყო, როდესაც თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. 1855 წელს იაკობმა საუკეთესოდ დაამთავრა ამ სასწავლებლის სრული კურსი და თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა.

სემინარიაში ყოფნის დროს იაკობი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისადმი; გულმოდგინედ სწავლობდა; გატაცებული იყო კლასგარეშე საკითხავი წიგნებით.

სემინარიაში ყოფნის დროსვე გაეცნო იაკობი რუსეთის დიდი პედაგოგის კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ წერილებს, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალში «Журнал для воспитания». ამ წერილებმა აღუძრეს მას დიდი ინტერესი სახალხო განათლების საკითხებისა და პედაგოგიური მეცნიერებისადმი.

1861 წელს დაასრულა იაკობმა თბილისის სასულიერო სემინარია და იმავე წელს, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, გაემგზავრა კიევის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი განათლების მისაღებად. აკადემიაში იგი, როგორც წარჩინებული სტუდენტი, სახელმწიფო ხარჯზე სწავლობდა. იაკობი ხარბად დაეწაფა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. განსაკუთრებით აინტერესებდა საბუნებისმეტყველო, ბიოლოგიური, ფილოსოფიური და ფილოლოგიური მეცნიერებანი.

მაგრამ სასულიერო აკადემიის სასწავლო გეგმა და პროგრამები, საერთოდ, მოძველებულად ეჩვენებოდა მას და ამიტომ ოფიციალური დისციპლინების სწავლასა და ოფიციალურ პროფესორთა ლექციების მოსმენას მან ამჯობინა თავისუფალი კითხვა და კიევის უნივერსიტეტის გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებზე სიარული. ყურადღებით ისმენდა ლექციებს, ადგენდა კონსპექტებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსმენილ ლექციათა შესახებ სტუდენტთა საუბრებში.

დიდ ინტერესს იჩენდა იაკობი აგრეთვე პერიოდული პრესისადმი. გულმოდგინედ კითხულობდა «Современник»-სა და «Журн. минист. народн. просвещения»-ს, რომელსაც 1860 — 1862 წლებში რედაქტორობდა კ. დ. უშინსკი. ამ ჟურნალებმა გაუღვიძეს მას ინტერესი რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული და მოწინავე პედაგოგიური აზროვნებისადმი. იაკობ გოგებაშვილი ჩქარა გაიტაცა ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, გერცენის, შედრინის და სხვა გამოჩენილი „ზაპადნიკების“ რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა იდეებმა და უშინსკის პედაგოგიურმა მოძღვრებამ. ის სამუდამოდ დარჩა მისი გავლენის ქვეშ და არც არასდროს უღალატნია ამ იდეებისა და მოძღვრებისათვის.

კიევის სასულიერო აკადემიაში იაკობი დიდხანს არ დარჩენილა. მან ვერ აიტანა უკრაინის ცივი ზამთრები. გაცივდა, ორჯერ იავადმყოფა ფილტვების ანთებით, რამაც გამოიწვია მისი დაავადება ფილტვების ჭლექით. იაკობი ამ დროს მესამე კურსზე გადავიდა. აკადემიის პროფესორები უკვე ატყობდნენ, რომ ის სერიოზული მეცნიერი მუშაკი შეიქმნებოდა. ისინი ურჩევდნენ იაკობს კურსის დამთავრების შემდეგ აკადემიაშივე დარჩენილიყო საპროფესორო წოდებისათვის მოსამზადებლად. მაგრამ ექიმებმა გააფრთხილეს იგი, რომ შეუფერებელი ჰავის გამო კიევში, მისი დარჩენა აღარ შეიძლებოდა. იაკობს ერთხანს გადაჭრით ჰქონდა გადაწყვეტილი არ წასულიყო კიევიდან აკადემიის დამთავრებამდე მაინც, მაგრამ ბოლოს ავადმყოფობის გართულებამ ხელი ააღებინა ამ გადაწყვეტილებაზე და 1863 წ. სამშობლოში დაბრუნდა.

თბილისში იაკობი მალე გამოკეთდა და სამსახური დაიწყო ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სასულიერო სემინარიაში გადავიდა იმავე თანამდებობაზე. იაკობ გოგებაშვილი სანიმუშო მასწავლებელი იყო მთელ სემინარიაში.

გაკვეთილზე ის იჩენდა იშვიათ პედაგოგიურ ოსტატობას. მოსწავლეები დიდი ინტერესით და ყურადღებით უსმენდნენ საყვარელ მასწავლებელს.

1868 წლის დამლევს იაკობი თბილისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად აირჩიეს.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა იაკობ გოგებაშვილს. თბილისის სემინარიასა და მასთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში სქოლასტიკური და საერთოდ სავსებით ანტიპედაგოგიური სისტემა ბატონობდა.

სწორედ ამ სემინარიაში არსებობდა, ამხანაგ სტალინის თქმით, „დამამცირებელი რეჟიმი და ოზუიტური მეთოდები... ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა, აბუჩად აგდება“. ადმინისტრაციაში მძვინვარებდა აშკარა მექრთამეობა, ქურდობა, ლოთობა, პანსიონის თანხების ფლანგვა და სხვა ბოროტმოქმედებანი. რევოლუციურ-დემოკრატიული და მოწინავე პედაგოგიური იდეების მომდევარი ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილი სასტიკად შეებრძოლა ამ უხეშ რეჟიმს და აღმზრდელის მანტიაში გახვეულ ავაზაკებს, შეებრძოლა გაბათლებას არსებულ სისტემას, ბავშვთა გონების დამაჩლუნგებელ დოგმატურ მეთოდებს.

მან ჩქარა დაიმსახურა ჩვენი მოწინავე საზოგადოების პატივისცემა და თავის მოსწავლეთა გულწრფელი სიყვარული. სამაგიეროდ სასტიკად აიმხედრა სემინარიის ადმინისტრაცია, სინოდი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის ხელმძღვანელობა, და საერთოდ მეფის ოფიციალური მოხელეები. იაკობს ერთი წუთითაც არ დაუხევია მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი დაუახლოვდა ქართველი ხალხის დიდ მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს და მისი ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაება საქართველოს ნაციონალურ - რევოლუციურ მოძრაობაში. 1866 წლიდან თანამშრომლობდა გაზეთ „დროებაში“, რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ცნობილი ბელეტრისტი გიორგი წერეთელი. 60-იანი წლების მეორე ნახევარში იაკობი დაუკავშირდა იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონს, სადაც იკრიბებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, გეგე მაღალაშვილი, პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი მეუღლით, შემდეგ ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, ანა მუსხელიშვილისა და სხვა გამოჩენილი ინტელიგენტები. ბევრი, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ - ლიტერატურული თემის ირგვლივ იმართებოდა აქ საუბარი. გოგებაშვილის სიტყვით, ეს „დარბაისლური საუბარი ხშირად გადაიქცეოდა ხოლმე კამათად სხვადასხვა საკითხების შესახებ, იკითხებოდა რეფერატები, რჩეული სტატიები და წიგნები, იმართებოდა დებატები“ (რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 513). იაკობის თაოსნობით იოსებ მამაცაშვილის სალონი (წრე) ისე მომაგრდა, რომ გაიჩინა სალარო და შეუდგა სოფლად სკოლების გამართვას და მცირე საგამომცემლო მუშაობას. მაგრამ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ის იყო, რომ, როგორც იაკობი სწერს, „სწორედ ამ წრეში დაიბადა და აღიზარდა აზრი წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებისა“, რომელიც იაკობისა და ნიკო ცხვედაძის დაუღალავი მეცადინეობით მართლაც დაარსდა 1878 წელს დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით და რომელმაც უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ქართველი ხალხის კულტურული განვითარების ისტორიაში.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებოდა სახალხო სკოლას. თავისი მასწავლებლის კ. დ. უშინსკის მსგავსად ისიც ფიქრობდა, რომ მშრომელი ხალხის მასობრივი განათლების პირველი საფეხური არის სახალხო სკოლა დედა-ენაზე სწავლის უფლებით. მაგრამ სახალხო სკოლას არ ჰქონდა სასწავლო წიგნები. დედა-ენის არსებული სახელმძღვანელოები (პლ. იოსელიანის, ივ. კერესელიძის, ს. მდივანოვის, დ. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილის და სხვების) უკვე მოძველებული იყვნენ მეთოდურად და ლექსიკითაც. საჭირო იყო უფრო მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისით შედგენილი სახელმძღვანელო. იაკობი საქართველოში დაბრუნების დღიდანვე გრძნობდა ამ მდგომარეობას და მხნედ შეუდგა მის გამოსწორებას.



გ. თავზიშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პარტიული ცხოვრება

გულმოდგინედ ვემზადოთ ლექციებისა და კონსულტაციებისათვის

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის რაიკომის პარტკაბინეტის მუშაკები თვითონაც არ უარჰყოფენ, რომ პარტკაბინეტი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს რაიონის ინტელიგენციის ყოველდღიურ მზარდ მოთხოვნებს.

უკანასკნელ ხანებში პარტკაბინეტში არ ტარდება ჯგუფური კონსულტაცია. იგი შემთხვევითს ხასიათს ატარებს. პარტრაიკომის ბიუროს მიერ კონსულტანტებად დამტკიცებული იყო 6 ამხანაგი. კონსულტანტები თ. ბულია, კ. ბერია 6 თვეზე მეტია ახლოსაც არ მიჰკარებიან პარტიულ კაბინეტს;

პარტკაბინეტი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული პარტისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებთან, არ ახდენს მათგან საინტერესო შეკითხვების შეგროვებას, დამოუკიდებლად მომუშავეებისათვის პარტკაბინეტში მოწყობილი არ არის სამეცადინო ოთახები, მკითხველები მეტწილად მეცადინეობენ სამკითხველოში, სადაც წიგნებიც ძლივს იტევა. პარტკაბინეტს არა აქვს საჭირო თვალსაჩინო სახელმძღვანელოები. ამიტომ იქ იშვიათად ნახავთ დამოუკიდებლად მომუშავეებს.

ადგილი აქვს ლექციების ჩაშლის შემთხვევებსაც, ვინაიდან ლექციისთვის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა არ სწარმოებს. მაგალითად, 7 სექტემბერს სოფელ დარჩელში ლექტორ ამხ. შ. დადიანს უნდა ჩაეტარებინა ლექცია საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამის შესახებ კი ამხ. შ. დადიანმა 6 სექტემბერს გაიგო. გასაგებია, რომ ასე სახელდახელოდ ლექტორი ლექციას ვერ მოამზადებდა, და ლექციაც ჩაიშალა.

ამხ. დ. ფირცხალავას 9 სექტემბერს სოფელ შამგონში უნდა ჩაეტარებინა ლექცია თემაზე: „პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში“, ლექტორმა ამხ. დ. ფირცხალავამ კი ამის შესახებ გაიგო მხოლოდ 8 სექტემბერს. ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ პარტკაბინეტს გამგე არა ჰყავს. პარტკაბინეტის გამგე ამხ. დ. კალანდია ჯარში გაიწვიეს. მას შემდეგ 2 თვემ განვლო, და პარტკაბინეტი დღემდის უხელმძღვანელოდ არის დარჩენილი.

ზოგან ლექციებზე დასწრების საქმეში თავი ირინა უხეშმა ფორმალიზმმა. მაგალითად, ქარხნის პარტბიუროს მდივანს ამხ. მ. კანკიას ლექციაზე დასწრება რაღაც ვალდებულებად მიაჩნია და რომ ეს „ვალდებულება“ „პირნათლად“ მოიხადოს, პარტიის წევრ-კანდიდატებს უცხადებს, თითქოს ისინი პარტრაიკომის მიერ არიან გამოძახებული და აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ პარტკაბინეტში... პარტბიუროს მდივანი ასე ემზადება ლექციებისათვის.

პარტიულმა კაბინეტმა კონსულტანტებთან და ლექტორებთან ერთად მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და ბოლო მოუღოს თვითდინებას მუშაობაში.

აპ. ქვარცხავა

კომუნისტები კოლექტიური შრომის ავანგარდში

(ქედის რაიონი)

სოფ. ვაიოს სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. რ. ბერიძე) თავგამოდებით მუშაობს თამბაქოს შაღალხარისხოვანი და უხვი მოსავლის მიღებისათვის.

კოლმეურნეობის წევრი კომუნისტი უმიან მახაჭაძე (აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), ენერგიულად მუშაობს. ნაცვლად 45 ზონარმეტრი თამბაქოსი, იგი ყოველდღიურად ნებისავს 60-70 ზონარმეტრ თამბაქოს. ამხ. მახაჭაძეს კოლმეურნეობაში დღემდე გამომუშავებული აქვს 250 შრომადღე.

ზემოთალნიშნული კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას სოციალისტური შეჯიბრების ფარათოდ გაშლის საქმეს. კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასე, მაგალითად, კომუნისტმა ამხ. უმიან მახაჭაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კომუნისტი ამხ. შემსინურ მახაჭაძე. ამხ. უმიანმა დიდი დახმარება გაუწია ამხ. შემსინურს იმისათვის, რომ იგი თამბაქოს უხვი მოსავლიანობის ოსტატი გამხდარიყო, და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მართლაც, ამხ. შ. მახაჭაძე საფუძვლიანად დაეუფლა თამბაქოს შეტეხა-ანებსვის საქმეს, რის შემდეგ ენერგიული მუშაობის შედეგად მან მოიპოვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

სოფ. ვაიოს კოლმეურნეობამ ძირითადად უკვე დაამთავრა თამბაქოს შეტება. გარდა ამისა, პარტორგანიზაციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები სიმინდისა და ვენახის მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. პარტიულ ორგანიზაციას სამეურნეო საქმიანობასთან ერთად ერთი წუთითაც არ ავიწყდება პარტიულ-მასობრივი მუშაობის გაშლა. მაგალითად, უმიან მახაჭაძე, გარდა იმისა, რომ სტახანოვურად მუშაობს, საუკეთესო აგიტატორადაც ითვლება, იგი შესვენების დროს თავის ბრიგადაში სისტემატურად კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და ესაუბრება კოლმეურნეებს საინტერესო საკითხებზე.

ასევე კარგი მიღწევები აქვს მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში სოფ. გეგელიძეების კოლმეურნეობას, რომელსაც კომუნისტი სულეიმან ნიჟარაძე ხელმძღვანელობს. ამ კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე დაამთავრა თამბაქოს მოსავლის აღება. მის მიერ სახელმწიფოსათვის დღემდე ჩაბარებული თამბაქო სულ პირველი ხარისხისაა. კოლმეურნეობაში მოუშავე კომუნისტები ფ. აბაშიძე, ვ. გოგოლიშვილი, ზ. წითელაძე, ჰ. დუმბაძე, მ. ვარშანიძე და სხვ. სტახანოვურად მუშაობენ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მაგრამ ყველგან ასე როდი მუშაობენ. მაგალითად, ზესოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კომუნისტი ბ. ბერიძე არაკეთილსინდისიერად მოეპყრა საკოლმეურნეო ქონების დაცვის საქმეს. მისი უპასუხისმგებლობით გაფუჭდა რამდენიმე ჰექტარი სათიბი, დაიხოცა საქონლის ნამატი, რითაც დიდი ზარალი ნახა კოლმეურნეობამ. საქ. კ. პ. (ბ) ქედის რაიკომმა ხ. ბერიძე, რომელმაც ვერ გამოიჩინა ბოლშევიკური უნარი საკოლმეურნეო ქონების მოვლა-პატრონობაში, მოხსნა სამუშაოდან და დაადო პარტიული სასჯელი.

მსგავსი მდგომარეობაა სოფ. საცხოვრაის კოლმეურნეობაში, რომელსაც კომუნისტი ი. თურმანიძე ხელმძღვანელობდა. თურმანიძემაც ვერ უზრუნველჰყო საკოლმეურნეო დოვლათის მოვლა.

საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რათა მივაღწიოთ იმას, რომ კომუნისტები ყველგან იყვნენ კოლექტიური შრომის ავანგარდში.

გ. რუსიეშვილი

ქუთაისის ფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ჰოზონელიძე (შარჯვნივ) ესაუბრება საკ. კ. პ. (ბ) წევრობის ახლად მიღებულ კანდიდატებს ამხ. ბ. სანთელაძეს და გ. გურეშიძეს.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა)

ბოლშევიკური აგიტაცია მაღაროში

(ტყიბული, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის მაღარო უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სისტემატურად გარღვევებით ასრულებდა ქვანახშირის ამოღების გეგმებს, არასტანდარტული იყო მათ მიერ ამოღებული ქვანახშირი და ვერ იცავდნენ თვითღირებულებას. მძსებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა აგიტაცია, რაც განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული III საექსპლოატაციო უბანში, დაეხმარა მაღაროს კოლექტივს მთელს მაღაროში ქვანახშირის ამოღების მძლავრ აღმავლობასა და ხაცრიანობის მკვეთრ შემცირებაში.

პ. ნანიაშვილს, რომელიც პარტბიურომ აგიტატორად გამოჰყო III უბანში, ტყიბულის მაღაროებში იცნობენ როგორც საუკეთესო ბოლშევიკ - მაღაროელს. იგი მაღაროში აღიზარდა, გახდა სამთო ოსტატი, ტექნიკოსი, ხოლო ახლა უბნის უფროსად მუშაობს და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. III საექსპლოატაციო უბანში 26 ივნისის ბრძანებულებამდე მოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია, ადგილი ჰქონდა მუშათა დენადობას, უკანასკნელ 3 თვეში 26 კაცმა დაარღვია შრომის დისციპლინა, რაც გამოიხატა სამუშაოს თვითნებურად მიტოვებაში და გაცდენაში. გამოქვეყნდა თუ არა 26 ივნისის ბრძანებულება, აგიტატორმა პ. ნანიაშვილმა ყველა მუშას განუმარტა მისი მნიშვნელობა, რამაც უზრუნველჰყო სამუშაოს მიტოვებისა და გაცდენების მკვეთრად შემცირება.

აგიტატორი ფართოდ იყენებს ადგილობრივ ფაქტებს. ადმინისტრაციის განკარგულება ძოწენიძის ჩამოყენების შესახებ ცვლის უფროსობიდან და მაღაროს კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის დადგენილება დ. რიჟამაძის კომკავშირიდან გარიცხვის შესახებ მესამე უბნის აგიტატორმა პ. ნანიაშვილმა შესანიშნავად გამოიყენა, მაშინვე ყველა მუშას გააცნო და ხელმეორედ განუმარტა 26 ივნისის ბრძანებულების მნიშვნელობა.

ადგილობრივ ფაქტებზე საუბარი კარგად ეხერხება ცვლის უფროსს, წამკითხველ - მესაუბრეს ა. ქასრაშვილს.

26 ივნისის და 10 ივლისის ბრძანებულებათა სისტემატური, ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად მესამე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა ქვანახშირის ამოღების მძლავრი აღმავლობისათვის, ხაცრიანობის შემცირებისათვის. ივნისთან შედარებით ივლისში 5 პროცენტით გადიდდა ქვანახშირის ამოღება, ხოლო აგვისტოში—36,5 პროცენტით, — ამოღებულ იქნა 932 ტონით მეტი ქვანახშირი. ცვლა, რომელსაც წამკითხველ-მესაუბრე კომკავშირელი, სამთო ოსტატი ა. ქასრაშვილი ხელმძღვანელობს, 42 ტონის ნაცვლად ყოველდღიურად იძლევა 55-60 ტონა ქვანახშირს.

10 ივლისის ბრძანებულების ფართო აგიტაციის შედეგად III საექსპლოატაციო უბანში გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი. ახლა აქ 5—6 პროცენტით შემცირდა ქვანახშირის ნაცრიანობა, იძლევიან გაუმჯობესებული ხარისხის ქვანახშირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ გაზრდილი სტახანოვური მაჩვენებლებით მუშაობს მთელი უბანი. ამ უბნის სტახანოველები — მნგრეველები, მებიჯგეები და მტვირთავები: ალ. ქათამაძე, არ. ჭელიშვილი, ს. ცირეკიძე, ს. რიჟამაძე, ბ. გვენეტაძე, ე. ობოლაძე, ალ. ცირეკიძე, ვ. ფორჩხიძე, პ. ჭელიშვილი, შ. სოფრომაძე, ვლ. ხაჭაპურიძე, ვ. გიორგაძე და სხვები თუ წინათ ორ-ორ ნორმას იძლეოდნენ, ახლა 3-3 ნორმასაც აჭარბებენ ყოველდღიურად.

მესამე საექსპლოატაციო უბნის გამარჯვებებმა გარღვევიდან გამოიყვანა სტალინის სახელობის მაღარო, რომელიც დიდხანს ჩამორჩენილი იყო, და დააყენა სსრ კავშირის მოწინავე მაღაროებისა და შახტების მწყობრში. სტალინის სახელობის მაღარო სექტემბერში 105-110 პროცენტით ასრულებს საშუალო სადღეღამისო დავალებას.

ასე იბრძვიან მაღაროს გვიტატორები 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა მტკიცედ განხორციელებისათვის.

დ. საბელაშვილი

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ლონდონზე

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 2 ოქტომბერს, დღისით, ლონდონის რაიონში გადნუწყვეტლივ დაფრინავდა გერმანიის 1000 თვითმფრინავი. თვითმფრინავები დიდ სიმაღლეზე დაფრინავდნენ შენაერთებად, რომლებიც 50-200 თვითმფრინავისაგან შესდგებოდნენ. მტრის ავიაციას ინგლისის თვითმფრინავებისათვის ბრძოლა არ გაუმართავს და იერიში არ მიუტანია რომელიმე ობიექტზე. როცა ინგლისის თვითმფრინავები გერმანიის თვითმფრინავებს დაედევნენ, უეხლესკ ნელი თავიანთ ბაზებში ისე დაბრუნდნენ, რომ ბრძოლა არ დაუწყიათ. გერმანიის მხრივ რამდენიმე თვითმფრინავმა იერიში მიიტანა ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის ქალაქებზე. ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოაყარეს ლონდონის რაიონში და მთელი რიგი სახლები დაანგრიეს. ეს თავდასხმა გერმანიის ავიაციის წინა იერიშებზე გაცილებით უფრო სუსტი იყო.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ომის კორესპონდენტის შესახებ

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ნეიტრალურ სამხედრო მეთვალყურეთა და აგრეთვე ინგლისის არაოფიციალური წრეების აზრით, ინგლისში გერმანელთა შესევის ყველაზე ხელსაყრელმა დრომ უკვე განვლო. ამ პირთა აზრით, გერმანელები ზამთრის განმავლობაში გაიწაფებიან ჯარისა და მასალის კონცენტრაციას ლა-მანშის ნავსადგურებში, აგრეთვე შეეცდებიან ხმელთაშუა ზღვის დაშორებით დაეკავონ ჩრდილოეთის ზღვის ინგლისის ფლოტი. ერთი არაოფიციალური პირის განცხადებით, შემდეგი მნიშვნელოვანი ბრძოლის ველი, ალბათ ეგვიპტე იქნება.

ლონდონიდან ევაკუირებულ მცხოვრებთა მდგომარეობა

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთებს მრავალი წერილი მოსდით ლონდონიდან ევაკუირებულთაგან, რომელნიც სჩივიან არაჩვეულებრივად დიდი ფასების მიცემა გვიხდება სასტუმროებისა და მოწყობილი ოთახების პატრონებისთვის იმ რაიონებში, სადაც ბომბარდირებას ნაკლები ზარალი მოაქვსო.

ორი ოთახის ქირად ერთ კვირაში ექვს გირვანქა სტერლინგს ახდევინებენ.

ყუმბარასაფართა ორგანიზაცია ლონდონში

სტოკჰოლმი, 3 ოქტომბერი (საკდესი). როგორც „დაგენს ნიუ-ჰეტერის“ ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის მთავრობამ ადმირალი ევანსი რწმუნებულად დანიშნა ლონდონში ყუმბარსაფართა ორგანიზაციის საქმეზე.

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრმა ანდერსონმა, ადმირალ ევანსის თანხლებით, საინსპექციო მიზნით დაათვალიერა ლონდონის ყუმბარსაფარები. დათვალიერებამ 6 საათს გასტანა.

ლონდონის მეჯროში

ნიუ-იორკი, 3 ოქტომბერი (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, ლონდონის ცალკეულ შეძლებულ მცხოვრებთ აქვთ კერძო მშვენივრად მოწყობილი ყუმბარასაფარები. უდიდესი სასტუმროების სარდაფები გამაგრებულია და სავენტილაციო სისტემა აქვთ. მაგრამ ლონდონელთა დიდი უმეტესობა არახელსაყრელ პირობებშია. ასათასობით ადამიანებს ანდერსონის სისტემის თავშესაფრებში სძინავთ. კიდევ უფრო მეტი ხალხი იყენებს დიდი შენობების სარდაფებს ლონდონის ცენტრში. 120 ათასზე მეტ კაცს მეტროში სძინავს. 26 სექტემბერს მეტროში თვითეულ სადგურზე ლევერპულ-სტრიტსა და პიკადილი-სირკუსს შორის ათასზე მეტი კაცი, კიბეებზე იწვდა, ან საბანში გახვეულთ ეძინა პუშკიანი ბეტონის პლატფორმების გასწვრივ რელსებიდან სამი იარდის დაშორებით.

მეტროში ცხელი, საძაგელი ჰაერია, არ არის აუცილებელი სანიტარული პირობები. ამასთან დაკავშირებით, სწერს გაზეთი, ადვილად შეიძლება ეპიდემიამ იფეთქოს.

დიდი შენობების სარდაფები გაცილებით უფრო მარჯვეა, მაგრამ უფრო ნაკლებად უშიშარია, ვიდრე მეტროს სადგურები. მიუხედავად პარლამენტის წევრთა და გაზეთების აგიტაციისა და ისტ-ენდის მცხოვრებთა მოთხოვნისა, მთავრობის წარმომადგენელმა გაანაცხადა, ხელისუფლება არ აპირებს ღრმა ყუმბარსაფართა აგებასო. ახლანდელი თავშესაფარებისათვის მომზადებულია 1 მილიონი საწოლი. აგებულია აგრეთვე სხვა თავშესაფარები, მაგრამ ისინი ისე, როგორც ანდერსონის თავშესაფარები, არასაკმაოდ საიმედონი არიან. დამთავრდა ანდერსონის 2.300 ათასი თავშესაფრის მშენებლობა. „არ ვიცით — სწერს გაზეთი, — აკმაყოფილებენ თუ არა ეს ღონისძიებანი ლონდონის მცხოვრებთ. საერთო აზრის მიხედვით, თავშესაფართა პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული გახდება ზამთარში“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ მტკიცებით „ინგლისის ბანკის გვერდით მდებარე სადგურზე საღამოს 6 საათიდანვე მთელი ღამის გასათევად მოეწყვნენ ბავშვები დედები. ზოგიერთი მათგანი იქვე აწოვებდა ძუძუს ბავშვს. ხის ჭუჭყიანი ორკანიდან სასმელი წყალი პლატფორმაზე გადმოდიოდა. კასრიც კი არსად იყო, სადაც შეიძლებოდა ამ წყლის ჩასხმა. ვიღამაც პატარა კაშხალი გააკეთა ქვიშისაგან, რათა წყალი არ მიეშვა მძინარე ადამიანებთან“.

ლონდონის ისეთი სასტუმროები, როგორიცაა „საგოი“, 30 შილინგს იღებენ თავიანთ თავშესაფარში ერთი ღამის გათევისათვის.

ბავშვების ნაწილობრივი ევაკუაცია ბერლინიდან

ბერლინი, 3 ოქტომბერი (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის ავიაციის ბერლინზე თავდასხმები კვლავ გრძელდება ბავშვები ნაწილობრივ გაჰყავთ ქალაქიდან.

ინგლისში შეიქმნა სამეცნიერო სათათბირო კომიტეტი

ლონდონი, 3 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩემბერლენმა პრემიერ-მინისტრის მოწოდებით შექმნა სამეცნიერო სათათბირო კომიტეტი. კომიტეტმა უნდა უზრუნველჰყოს მეცნიერების მოღვაწეთა თანამშრომლობა თავდაცვის საკითხებში. კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი ლორდ ჰენკი.

ამერიკელი კორესპონდენტები ღონდონზე გერმანიის თავდასხმის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „სანი“ იუწყება, ნორტ ამერიკენ ნიუსპეიპერ ალიანსის სააგენტოს ლონდონიდან ჩამოსული კორესპონდენტის შინის აზრით, ინგლისში შეჩერის საფრთხემ გაიარა. შინი ფიქრობს, რომ ზამთრის განმავლობაში აქტიური სამარი მოქმედება განვითარდება ეგვიპტეში. შემდეგ შინი იტყობინება, რომ ინგლისის სანაპიროზე გერმანიის შეჯერას ცდასთან დაკავშირებით ორჯერ გამოცხადდა განგაში, მაგრამ ცენზორმა აკრძალა ამ ცნობის გადაცემა. მიმოხილველთა აზრით, ლონდონის ბომბარდირება რამდენიმე წლის განმავლობაშიაც კი ვერ მოსპობს ამ ქალაქს.

სამარი მოქმედება აფრიკაში

რომი, 4 ოქტომბერი. იტალიის სარდლობა იუწყება: „ჩვენი ავიაციის შენაერთებმა ინგლის-ეგვიპტის სუდანში ყუმბარა დაუშინეს ინგლისელთა ბანაკებსა და თავდაცვის ნაგებობებს როზეირის ზონაში, აგრეთვე ბანაკსა და პატარა ნავსადგურს გალაბატის ზონაში მტრის ავიაცია თავს დაესხა ბერბერას, აფმადას, ელუაკს (იტალიის სომალი) და რკინიგზის სადგურს აგორდატს (ერიტრეა). მოკლულია 3 და დაჭრილია 5 კაცი. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა“.

ლონდონი, 4 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, იტალიის ორი ყუმბარმშენი, რომელიც მონაწილეობას იღებდა უკანასკნელ თავდასხმაში ხაიფაზე, დაზიანდა და სირიის ტერიტორიაზე დაეშვა. თვითმფრინავების ეკიპაჟი ერთი გერმანელი მფრინავისა და 4 იტალიელისაგან შესდგებოდა. (საკდესი).

გენერალი ვეიგანი დაკარს მიემგზავრება

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი (საკდესი). იუწყებიან პრესის სააგენტო ვიშიდან იტყობინება, რომ ხვალ გენერალი ვეიგანი დაკარს მიემგზავრება, რათა ჩაიბაროს საფრანგეთის კოლონიური ჯარის სარდლობა.

ჩემბერლენმა უარი სთქვა კონსერვატიული პარტიის ლიდერის პოსტზე

ლონდონი, 4

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԻՍՏԻ ՀԱՅՏԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԻՍՏԻ ՀԱՅՏԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ